ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0121356557**
თარიღი: **22/12/2021**
პინი: **9587**

ადრესატი: ჯიმშერ გურგენიძე
პირადი ნომერი: 01024034543
მისამართი: ქ.თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 138ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფში” შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთებზე, რომლის საკადასტრო კოდებია: (01.15.05.060.012; 01.15.05.060.014) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა კოდით (01.00.181) არ ფიქსირდება (გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა განთავსებულია ნაკვეთის საზღვრებს გარეთ). აქედან გამომდინარე შ.პ.ს. “თბილსერვის ჯგუფი” წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორის მოადგილე (გარე განათების დარგში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-92067-21
08 / 12 / 2021

შპს „ეს ჯი კომპანის“ დირექტორს
ბატონ ჯიმშერ გურგენიძეს

ბატონო ჯიმშერ,

თქვენი მიმდინარე წლის 30 ნოემბრის №02-13-94876-21 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკ.კოდი №01.15.05.060.012; №01.15.05.060.014) არსებული შენობა-ნაგებობების დაგეგმილ სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე და მათ მიმდებარედ განთავსებულია შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი მიწისზედა და მიწისქვეშა დაბალი და საშუალო წნევის გაზსადენები.

კომპანია თანახმაა განახორციელოთ დაგეგმილი სადემონტაჟო სამუშაოები, თუ აღნიშნულ მილსადენებთან მიმართებაში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა და სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს მილსადენის დაზიანება.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

№ 0621-0573854 D 11 11 2021

„ეს ჯი კომპანის“ დირექტორს
ბატონ ჯიმშერ გურგენიძეს
ელ.ფოსტა: Irakli.Tsagareishvili@smartcapital.ge
ტელეფონი: 599 23 95 58

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN21-0573473; თარიღი 11/10/2021წ.) წმინდა გერგეთის ქ. #3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ.კოდი N01.15.05.060.012 შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შესახებ.

გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ.კოდი N01.15.05.060.012 „კომპანიის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენ-წყალარინების ქსელები არ გაედინება, ხოლო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გაედინება წყალსადენის D=100 მმ-იანი და წყალარინების D=150 მმ-იანი ქსელები.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) და ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების (ოქმი N12) თანახმად, წყალსადენ-კანალიზაციის მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა

სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე, ხოლო თვითდენითი წყალარინების ქსელიდან 3 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

აღნიშნული წყალსადენ-წყალარინების ქსელების გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით კომპანია გამორიცხავს მიღსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

ასევე გაცნობებთ, რომ „კომპანია" არ არის წინააღმდეგი ზემოაღნიშნულ მისამართზე მოახდინოთ შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, ქსელების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის" წარმომადგენელს:

მთაწმინდა-კრწანისის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი - თეიმურაზ წითლიძე ტელ: 599 58 98 67.

პატივისცემით,
გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია/ ლ.გაგნიძე
ელ-ფოსტა: jchachkhalia@gwp.ge/ ტელეფონი: 293 11 11 (21 02)

№ 5174/09-8 "19" 11 2021

შპს "ეს ჯი კომპანი"-ს დირექტორს

ბატონ ჯიმშერ გურგენიძეს

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ტ. ტაბიძის ქ., №106

საკონტაქტო ნომერი: 599239559

ბატონო ჯიმშერ,

2021 წლის 11 ნოემბერს, სს „სილქნეტში“ შემოვიდა თქვენი წერილობითი განცხადება N 8/6632 (ს/კ:01.15.05.060.012-ზე) სს „სილქნეტის“ საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ელემენტების გადატანის და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების შესახებ.

2007 წლის 04 ივნისის საქართველოს მთავრობის N134 დადგენილების საფუძველზე, საკომუნიკაციო ელემენტები წარმოადგენენ სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფ სახაზო ნაგებობებს. შესაბამისად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკრძალებათ, მათ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაში განთავსებული (გამავალი) ხაზობრივი ნაგებობების თვითნებურად გადატანა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის სამუშაოების ჩატარება, სახაზო ნაგებობების მფლობელი იურიდიული პირის მიერ დადგენილი პროცედურების წესების დაცვის და წერილობითი თანხმობა/ნებართვის გარეშე.

სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდეს საკომუნიკაციო ელემენტების გადატანითი სამუშაოები,განსაზღვრული „ღირებულების“ სრულად გადახდის და „სილქნეტის“ მიერ შესაბამისი ორგანოებიდან/მესამე პირებიდან „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „სამუშაოების“ ჩატარებისთვის შესაბამისი სახის ნებართვა/უფლება/თანხმობის მოპოვებიდან (რომელიც უფრო გვიან დადგება) 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

პროექტის მომზადების შემდგომ, თქვენი მოთხოვნის და სს „სილქნეტისთვის“ პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების გადახდის შემთხვევაში, ჩვენი კომპანია უზრუნველყოფს პროექტით გათვალისწინებული საკომუნიკაციო ელემენტის გადატანას აღნიშნული სამუშაოების ჩატარების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

პატივისცემით,

აკაკი რამიშვილი

საცალო გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი

თელასი

სნ 202052580

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 1206/681/21

Дата: 06/12/2021

„ეს ჯი კომპანი"-ს დირექტორ

ბ-ნ ჯიმშერ გურგენიძეს

30.11.2021 #1130/245/21 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისა-მართზე მიწის ნაკვეთის (ს.კ.01.15.05.060.012; ს.კ.01.15.05.060.014) მიმდებარედ გადის სს „თელასის" კუთვნილი 0,4კვ-ის საჰაერო ელ.გადამცემი ხაზი.

მანძილი 0,4კვ-ის სადენებსა და საცხოვრებელი შენობების უკიდურესად გამოშვერილ წერტილამდე ჰორიზონტალში უნდა შეადგენდეს:

აივნებამდე, ტერასებამდე, ფანჯრებამდე – არანაკლებ 1.5 მ.

შენობის ყრუ კედლებამდე და ნაგებობებამდე – არანაკლებ 1 მ.(ელ. დანადგართა მოწყობის წესები ПУЭ თავი 2.4, პუნქტი 2.4.58).

მანძილი 0,4კვ–იან თვითმზიდ იზოლირებულ სადენებსა და საცხოვრებელი შენობების უკიდურესად გამოშვერილ წერტილამდე ჰორიზონტალში უნდა შეადგენდეს:

აივნებამდე, ტერასებამდე, ფანჯრებამდე – არანაკლებ 1 მ.

შენობის ყრუ კედლებამდე და ნაგებობებამდე – არანაკლებ 0,2 მ.(ელ. დანადგართა მოწყობის წესები ПУЭ თავი 2.4, პუნქტი 2.4.57).

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა (დემონტაჟი), თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები, სამუშაოები შეთანხმებული უნდა იყოს სს „თელასის" შესაბამის სამსახურთან.

სს „თელასის" გენერალური
დირექტორი ს. კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყოფილების უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

შპს "მაგთიკომი"
№ ED-21/11/12-023
12-11-2021წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს „ეს ჯი“-ს დირექტორს
ბატონ ჯიმშერ გურგენიძეს

თქვენი 2021 წლის 12 ნოემბრის 21/11/11-35 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოცემული ტერიტორიის მიმდებარედ გადის შპს „მაგთიკომი“-ს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, რასთან დაკავშირებითაც გიგზავნით სიტუაციურ ნახაზს და მოგახსენებთ, რომ არ ვართ წინააღმდეგი შესრულდეს დაგეგმილი სამუშაოები.

იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთზე ჩატარდება რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო რაც გამოიწვევს შპს „მაგთიკომი“-ს საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, პასუხისმგებლობა და მისი აღდგენისათვის გაწეული ხარჯები სრულად დაეკისრება სამუშაოების შემკვეთს/შემსრულებელს.

ჩვენი კომუნიკაციის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, სამუშაოების დაწყების დრო გვაცნობოთ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე. ტ 577 20 85 86: 599 17 27 27.

დანართი: არსებული კომუნიკაციის სიტუაციური ნახაზი, ერთი ფურცელი.

შემსრულებელი: ლაშა ჭავჭანიძე. ტ 599 172727

პატივისცემით,

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

ნოდარ ბაღათურია

საქართველო, თბილისი 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. N7 / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge
დოკუმენტის ნომერი: 211112022



შპს "მაგთიკომი"
ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქუჩა ქ. №7
ტელ. 032 217 00 00 ან 110011

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნატო სოლოღაშვილი

თარიღი: 11/12/2021

===== მაგთიკომის მიწისქვეშა კომუნიკაცია